ოქმი:**ო63. 63242363**
თარიღი:**23/08/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და

სამანდატო საკითხთა კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი N 11

ქ.სამტრედია,

23 ივლისი, 2024 წელი.

მიმდინარე წლის 23 ივლისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მანანა სირბილაძის თავმჯდომარეობით, ჩატარდა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ლიზა კრავეიშვილი, პაატა კოხრეიძე, დავით ნიკოლეიშვილი, ვალერიანე ფოცხვერია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიან ნაციონალური მოძრაობა“- ს შემადგენლობაში ცვლილების დამტკიცების შესახებ.

/ მომხსენებელი: მანანა სირბილაძე /

2. სამტრედიის მუნციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 24 ივლისის N გ63.6324206001 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/ მომხსენებელი: მანანა სირბილაძე /

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სემადგენლობის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 8 ნოემბრის N გ63. 63223126 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ მომხსენებელი: მანანა სირბილაძე /

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (6 ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრთა (6 ხმით) დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ აღნიშნა, რომ ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ -ს მიღებულია საკრებულოს 2021 3 დეკემბრის განკარგულება N გ-63.63213378 ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცა ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს დაფუძნებაში ცვლილება, რომელიც გამოწვეულია ამ ფრაქციის წევრის ლასშა გრიგოლიას პარტიის დატოვების შესახებ. რომელიც მან ზეპირი განცხადებით გააკეთა და ჩემთვის გახდა ცნობილი.აქედან გამომდინარე საჭიროა საკრებულოს სხდომაზე ძალადაკარგულად გამოვაცხადოთ ზემოთ აღნიშნული განკარგულება.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრთა (6 ხმით) გადაწყვეტილებით, ფრაქცია ,,ერთიან ნაციონალური მოძრაობა“-ს შემადგენლობაში ცვლილების დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით, სხდომის თავმჯდომარემ, მანანა სირბილაძემ, კომისიის წევრებს გააცნო, ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ლაშა გრიგოლიას 2024 წლის 15 ივლიის სიტყვიერი განცხადება, რომ ის ტოვებდა ,,ნაციონალურ მოძრაბა“-ს პარტისა და ასევე ფრაქციასაც. თუმცა, რომლის შესახებ ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარის ემზარ შუბლაძის მხრიდან არანაირი განცხადება არ გაკეთებულა. საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტი, რომლის თანახმად, შეტანილ იქნას ცვლილება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს პერსონალური შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

1. ემზარ შუბლაძე - ფრაქციის თავმჯდომარე

2.აკაკი მინაშვილი

3.ავთანდილ თადუმაძე - მოადგილე

4.ქეთევან კუტალაძე

5.მარიამ ბარბაქაძე

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრთა (6 ხმით) დემტკიცდეს გადაწყვეტილება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალურ მოძრაობა“-ს შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა მანანა სირბილაძემ ბიუროს წევრებს გააცნო, გადაწყვეტილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების სესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 8 ნოემბრის Nგ63. 63223126 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

1. გიორგი ლეჟავა -თავმჯდომარე

2.ტარიელ დვალიშვილი

3.ლელა ჩორგოლაშვილი

4.კობა ძიძიგური

5.ლიზა კრავეიშვილი

6.ნათია პაპავა

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: / მედეია ონიანი /

მანანა სირბილაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
იურიდიული, ადამიანის უფლებათა დაცვის,
საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია-
იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის,
საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი